2022 წლის ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

შპს „ექსპორტ +”

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია
2. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის განხილვა
3. განუსაზღვრელობის შეფასებისათვის გამოყენებული ძირითადი წყაროები
4. ძირითადი საშუალებები
5. საინვესტიციო ქონება
6. გაცემული სესხები
7. მარაგები
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები
10. საკუთარი კაპიტალი
11. ბანკის სესხები და ოვერდრაფტები
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
13. მოგების გადასახადი
14. გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები
15. ოპერაციები და ნაშთები ურთიერთდამოკიდებულ მხარეებთან
16. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

Audit STANDARD

Experience for success

ID 405634130
SARAS-F-403480

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს „ექსპორტ+"-ს მესაკუთრეებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ **შპს "ექსპორტ+"**-ს (*შემდგომში "კომპანია"*) **ფინანსური ანგარიშგების აუდიტი**, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისაგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს "ექსპორტ+"-ს ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის ***(მსს ფასს-ის)*** **შესაბამისად (*ასევე "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად).***

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (*ასს-ების*) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია წინამდებარე დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე"- ნაწილში.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის (*IESBA კოდექსი*) შესაბამისად და ასევე შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული ჩვენი ეთიკური ვალდებულებები.

ჩვენი აზრით, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრებისათვის საჭირო საფუძვლების შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის 2023 წლის 29 ოქტომბრით დათარიღებულ მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა საფუძველზე და რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული საქმიანობის მიმოხილვისგან. სხვა ინფორმაცია არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მიზანია, რომ გავეცნოთ წარმოდგენილ მმართველობის ანგარიშგებას (“*საქმიანობის მიმოხილვა*”) და გამოვთქვათ მოსაზრება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრული მმართველობის ანგარიშგების ნაწილი - “საქმიანობის მიმოხილვა”, არის თუ არა არსებითად შეუსაბამო, არის თუ არა თანხვდენილი კომპანიის მიერ წარმოდგენილ 2022 წლის 31 დეკემბრისათვის დასრულებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ასევე აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება შეიცავს არსებით უზუსტობებს. თუ აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება შეიცავს არსებით უზუსტობებს, ან არ არის თანხვდენილი იმავე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან, გვევალება აუდიტორის მოსაზრებაში ყურადღების გამახვილება ამ ფაქტზე. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის მოსაზრების მომზადების თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს.

აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ განხორციელებულ პროცედურებზე დაყრდნობით, ვაცხადებთ, რომ ჩვენი აზრით, თანდართული მმართველობის ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, თანხვდენილია შპს “ექსპორტ+”-ს 2022 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და ასევე შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს-ის და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას საქმიანობის გაგრძელება, როგორც ფუნქციონირებად საწარმოს. აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში განმარტოს ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის მეთვალყურეობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და მოვამზადოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებას.

აუდიტის ჩატარების პროცესში ასს-ების შესაბამისად ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებითი უზუსტობის რისკებს. ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის წარმოდგენას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ვაფასებთ, ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მართებულობას, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, გვევალება აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები არ არის ადეკვატური, მაშინ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის მოსაზრების მომზადების თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებით შენიშვნებს. ასევე ვაფასებთ, უზრუნველყოფს

თუ არა ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთანავე, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს წერილობით წარვუდგენთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაბამისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობეთ ყველა ურთიერთობისა და იმ სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ შესაძლებელია დაკავშირებული ყოფილიყო ჩვენს დამოუკიდებლობასთან. ასევე იმ შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, რომლებიც აუცილებლობის შემთხვევაში გატარებულ იქნა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის წარდგენილ საკითხებს შორის განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებისას და, აქედან გამომდინარე, სწორედ ისინი განვსაზღვრეთ აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება მოცემული საკითხის გასაჯაროება ან, თუ უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, ჩვენ თავად არ გადავწყვეტთ, რომ აღნიშნული საკითხი არ უნდა აისახოს აუდიტორის დასკვნაში, რადგან, გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს ამ ინფორმაციის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის სარგებელს.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ვიაჩესლავ ბერაძე (რეგ. # SARAS-A-384413)

……

შპს "აუდიტის სტანდარტი"-ს სახელით (რეგ. # SARAS-F-403480)

29 ოქტომბერი 2023 წ

თუ არა ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთანავე, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს წერილობით წარვუდგენთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაბამისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობებთ ყველა ურთიერთობისა და იმ სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ შესაძლებელია დაკავშირებული ყოფილიყო ჩვენს დამოუკიდებლობასთან. ასევე იმ შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, რომლებიც აუცილებლობის შემთხვევაში გატარებულ იქნა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის წარდგენილ საკითხებს შორის განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებისას და, აქედან გამომდინარე, სწორედ ისინი განვსაზღვრეთ აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება მოცემული საკითხის გასაჯაროება ან, თუ უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, ჩვენ თავად არ გადავწყვეტთ, რომ აღნიშნული საკითხი არ უნდა აისახოს აუდიტორის დასკვნაში, რადგან, გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს ამ ინფორმაციის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის სარგებელს.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ვიაჩესლავ ბერაძე (რეგ. # SARAS-A-384413)

შპს "აუდიტის სტანდარტი" Audit STANDARD 405634130 "AUDIT STANDARD" LLC

შპს "აუდიტის სტანდარტი"-ს სახელით (რეგ. # SARAS-F-403480)

29 ოქტომბერი 2023 წ

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	01 იანვარი 2021
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	1	2	2
საინვესტიციო ქონება	5	17,457	11,350	2,449
გაცემული სესხები	6	5,441	4,943	2,274
სულ გრძელვადიანი აქტივები		**22,899**	**16,295**	**4,725**
მარაგები	7	10,707	1,826	1,505
გაცემული ავანსები	8	2	1	234
დებიტორული დავალიანება	8	758	1,292	657
ფული და ფულის ექვივალენტები	9	11	3	203
სულ მოკლევადიანი აქტივები		**11,478**	**3,122**	**2,599**
სულ აქტივები		**34,377**	**19,417**	**7,324**
კაპიტალი	10			
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება		25,752	17,269	4,652
სულ კაპიტალი		**25,752**	**17,269**	**4,652**
გრძელვადიანი სესხები	11	555	1,038	1,787
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**555**	**1,038**	**1,787**
მოკლევადიანი სესხები	11	394	605	543
კრედიტორული და სხვა ვალდებულებები	12	7,626	385	199
საგადასახადო ვალდებულებები	12	50	120	143
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**8,070**	**1,110**	**885**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**34,377**	**19,417**	**7,324**

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს " ექსპორტ +"-ს სახელით 2023 წლის 29 ოქტომბერს.

არჩილ მხეიძე

შპს "ექსპორტ +"-ს დირექტორი

მარიამ გიბილეიშვილი

შპს "ექსპორტ +"-ს მთავარი ბუღალტერი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(*თანხები მოცემულია ქართულ ლარში*)

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	01 იანვარი 2021
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	**4**	1	2	2
საინვესტიციო ქონება	**5**	17,457	11,350	2,449
გაცემული სესხები	**6**	5,441	4,943	2,274
სულ გრძელვადიანი აქტივები		**22,899**	**16,295**	**4,725**
მარაგები	**7**	10,707	1,826	1,505
გაცემული ავანსები	**8**	2	1	234
დებიტორული დავალიანება	**8**	758	1,292	657
ფული და ფულის ექვივალენტები	**9**	11	3	203
სულ მოკლევადიანი აქტივები		**11,478**	**3,122**	**2,599**
სულ აქტივები		**34,377**	**19,417**	**7,324**
კაპიტალი	**10**			
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება		25,752	17,269	4,652
სულ კაპიტალი		**25,752**	**17,269**	**4,652**
გრძელვადიანი სესხები	**11**	555	1,038	1,787
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**555**	**1,038**	**1,787**
მოკლევადიანი სესხები	**11**	394	605	543
კრედიტორული და სხვა ვალდებულებები	**12**	7,626	385	199
საგადასახადო ვალდებულებები	**12**	50	120	143
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**8,070**	**1,110**	**885**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**34,377**	**19,417**	**7,324**

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს " ექსპორტ +"-ს სახელით 2023 წლის 29 ოქტომბერს.

.....	.....
არჩილ მხეიძე	*მარიამ ბიბილეიშვილი*
შპს " ექსპორტ +"-ს დირექტორი	*შპს " ექსპორტ +"-ს მთავარი ბუღალტერი*

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სრული შემოსავლის ანგარიშგება

(*თანხები მოცემულია ქართულ ლარში*)

ლარი '000	**2022**	**2021**
შემოსავალი რეალიზაციიდან	35,398	26,233
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(30,276)	(23,827)
სხვა საოპერაციო ხარჯები		
ხელფასის ხარჯი	(103)	(49)
ადმინისტრაციული ხარჯი	(80)	(60)
სხვა ხარჯი	(1)	(1)
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	**(184)**	**(110)**
არასაოპერაციო შემოსავალი		
ვალუტის გადაფასებიდან მიღებული მოგება	675	809
საპროცენტო შემოსავალი	498	465
შემოსულობები/ (ზარალი) საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	2,782	8,901
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	-	441
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	**3,955**	**10,615**
არასაოპერაციო ხარჯი		
ვალუტის გადაფასებიდან მიღებული ზარალი	(252)	(110)
საპროცენტო ხარჯი	(119)	(178)
სხვა არასაოპერაციო ზარალი	(1)	(6)
სულ არასაოპერაციო ხარჯი	**(372)**	**(294)**
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	**8,521**	**12,617**
მოგების გადასახადის ხარჯი	(6)	-
წლის მოგება (ზარალი)	**8,515**	**12,617**

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

(*თანხები მოცემულია ქართულ ლარში*)

'000 ლარი	**საწესდებო კაპიტალი**	**გაუნაწილებელი მოგება**	**სულ კაპიტალი**
ბალანსი 1 იანვარი 2021	-	4,652	4,652
შენატანი და განაწილებები			
დივიდენდები	-		-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)	-	12,617	12,617
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	**-**	**17,269**	**17,269**
შენატანი და განაწილებები			
დივიდენდები	-	(32)	(32)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)	-	8,515	8,515
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	**-**	**25,752**	**25,752**

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

(*თანხები მოცემულია ქართულ ლარში*)

ლარი '000

	2022	**2021**
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
შემოსავალი ნავაჭრი ამონაგებიდან	42,303	30,320
მომწოდებლებისთვის გადახდილი თანხები	(32,687)	(25,015)
ადმინისტრაციული ხარჯები	(6,832)	(4,693)
ფულადი ნაკადები ოპერაციებიდან პროცენტებამდე და მოგების გადასახადამდე	**2,784**	**612**
გადახდილი პროცენტები	(122)	(181)
მოგების გადასახადი	(6)	-
ნეტო ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**2,656**	**431**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა/რეაბილიტაცია	(1,855)	-
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	-	-
ნეტო ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(1,855)**	**0**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდი	(32)	-
სესხის დაფარვა	(523)	(533)
ნეტო ფული გამოყენებული ფინანსურ საქმიანობაში	**(555)**	**(533)**
ფულადი ნაკადების ნეტო ზრდა/(შემცირება)	**246**	**(102)**
ფული და ფულის ექვივალენტი პერიოდის დასაწყისში	**3**	**203**
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(238)	(98)
ფული და ფულის ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	**11**	**3**

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ექსპორტ +" (*შემდეგში «კომპანია»)* დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში. იგი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად *(ს/ნ* 436036781*)*.

კომპანიის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს თბილისში, ვაკის რაიონი, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, II მ/რ, კვარტალი I, კორპუსი 1, ბ. 2

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გარკვეული ტიპის პროდუქტის იმპორტირება და მისი საბითუმო მიწოდებას კონკრეტული მომხმარებლისათვის საქათველოში. კომპანიის მიერ იმპორტირებული საქონელი არის სპეციალური ხარისხისა და მახასიათებლების მქონე შაქარი, რომელიც აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის მოთხოვნებს, რათა ვარგისი იყოს დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად

კომპანია დაფუძნდა 2014 წლის 15 ოქტომბერს და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მესაკუთრე და ერთპიროვნული დირექტორი არის არჩილ მხეიძე - საქართველოს მოქალაქე.

2. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის განხილვა

<u>მომზადების საფუძველი</u>

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (*შემდგომში "მსს ფასს"),* რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის წარმოდგენილი. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა (*იქნება*) გამოყენებული ყველა პერიოდის მიმართ, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან მსჯელობას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. საკითხები, რომლებშიც ასახულია ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები და რომლებიც საჭიროებენ მაღალი დონის მსჯელობას და კომპლექსურ მიდგომებს, მოცემულია **მე-3 შენიშვნაში**.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, რომელშიც იგი ფუნქციონირებს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი ***("GEL").***

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივებისა და ვალდებულებების ლარში გადაყვანა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება იმ გაცვლითი კურსის მიხედვით, რომელიც აღნიშნულ თარიღში მოქმედებს. უცხოურ ვალუტაში ჩატარებული ოპერაციების ასახვა ხდება იმ გაცვლითი კურსის მიხედვით, რომელიც ოპერაციის ჩატარების დღეს მოქმედებს. ასეთი ოპერაციების ჩატარებით და უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების შედეგად მიღებული მოგება-ზარალი შემოსავლების ანგარიშგებაში აისახება.

2022 წლის 31 დეკემბერს, უცხო ვალუტის ნაშთების ლარში გადაყვანის მიზნით გამოყენებულ იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი შემდეგი გაცვლითი კურსები: 1 აშშ დოლარი = 2.7020 ლარი (2021 წლის 31 დეკემბერი - 3.0976, 2020 წლის 31 დეკემბერი – 3.2766) და 1 ევრო = 2.8844 ლარი (2021 წლის 31 დეკემბერი - 3.5040, 2020 წლის 31 დეკემბერი - 4.0233).

წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"). მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში მთელი ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ქართულ ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარადაა მითითებული.

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, მოთხოვნად დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა ვადაც 3 თვეს ან უფრო ნაკლებს შეადგენს. საბანკო ოვერდრაფტები ასახულია სესხების ნაწილში, მიმდინარე ვალდებულებებში, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.
ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების ღირებულება ეფუძნება საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და შეიცავს მარაგების შეძენის, ტრანსპორტირების და დასაწყობების ხარჯებს.

შეფასებით გასაყიდი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო გასაყიდი ფასი, რომლიდანაც გამოქვითულია დასრულებისა და გაყიდვის სავარაუდო ხარჯები.

<u>ძირითადი საშუალებები</u>

ძირითადი საშუალება აღიარდება ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების მთელ პერიოდზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

- შენობა-ნაგებობები 25-50 წელი
- მოწყობილობა-დანადგარები 10-15 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები 5-15 წელი
- კომპიუტერები და სხვა საოფისე აღჭურვილობა 3-10 წელი
- ავეჯი 10-18 წელი
- სხვა ძირითადი საშუალებები 3-10 წელი

თუ ბოლო ანგარიშგების თარიღის შემდეგ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის ნორმა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა გადაიხედება და შესწორდება პერსპექტიულად.

<u>საინვესტიციო ქონება</u>

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობები, ან შენობის ნაწილი, ან ორივე ერთად), რომელსაც ფლობს მესაკუთრე, ან მოიჯარე ფინანსური იჯარის პირობებით, საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდის, ან ორივე მიზნით და კომპანიის მიერ არ გამოიყენება საკუთარი საოპერაციო საქმიანობის განსახორციელებლად.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. შეძენილი საინვესტიციო ქონების თვითღირებულება მოიცავს მისი შეძენის ფასსა და ნებისმიერ დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ საინვესტიციო ქონების შეძენასთან.

საინვესტიციო ქონება, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, რეალური ღირებულების ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით.

<u>არამატერიალური აქტივები</u>

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ცალკე შეძენილ ლიცენზიებს (*მათ შორის შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა*) და სხვა არამატერიალურ აქტივებს, რომლებიც აისახება დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. არამატერიალური აქტივის ამორტიზირება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

- კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა 2-10 წელი
- სხვა საოპერაციო ლიცენზიები 3-10 წელი.

თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა უნდა განისაზღვროს ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე, მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს.

თუ ბოლო ანგარიშგების თარიღის შემდეგ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ამორტიზაცია შესაბამისად გადაიხედება და შესწორდება პერსპექტიულად.

<u>აქტივების გაუფასურება</u>

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა ჩატარდეს ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს აქტივების შესაძლო გაუფასურების ნიშნები, მაშინ უნდა შეფასდეს ნებისმიერი აქტივის (*ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის*) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდეს მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (*ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის*) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (*ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი*) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (*ან მსგავსი აქტივების ჯგუფის*) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (*სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის*) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (*ან მსგავსი აქტივების ჯგუფის*) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (*კომპენსირების*) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

<u>სავაჭრო ვალდებულებები</u>

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში

(*ლარში*), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (*ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით*). სესხები შემდგომში ამორტიზირებული ხარჯით აისახება. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუკი კომპანიას არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება როგორც აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (*ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით*), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ვალდებულებებისა და ჯარიმების რეზერვების შექმნა

ვალდებულებებისა და ჯარიმების რეზერვები წარმოადგენს განუსაზღვრელი დროისა და მოცულობის არაფინანსურ ვალდებულებებს. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად კომპანიას აქვს მომდინარე იურიდიული ან არაკონტრაქტული ვალდებულება, დიდი ალბათობით საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ამ

ვალდებულების დასაფარად და ასევე შესაძლებელია ამ ვალდებულების თანხის სარწმუნოდ განსაზღვრა.

სარეზერვო თანხის შეფასება ხდება მომავალში მოსალოდნელი საჭირო თანხის დღევანდელი ღირებულებით, რათა ვალდებულება დაიფაროს გადასახადის გადახდამდე არსებული განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის ღირებულების ამჟამინდელ საბაზრო შეფასებებს და იმ რისკებს, რაც ასეთ ვალდებულებას ახლავს თან. დროის გასვლასთან დაკავშირებით სარეზერვო თანხის ზრდა აისახება როგორც საპროცენტო ხარჯი.

<u>საკუთარი კაპიტალი</u>

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა (*მათ შორის საწესდებო კაპიტალის, საკუთრების უფლების ცვლილება*), მხოლოდ კომპანიის მესაკუთრეების გადაწყვეტილებით ხდება.

<u>ამონაგების აღიარება</u>

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან (*მომსახურების გაწევიდან*) აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს საქონელი (*მომსახურება*) მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ოდენობით. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-სა და ყოველგვარი ფასდაკლების გარეშე.

საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება „დროის პროპორციულობის" საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

<u>მოგების გადასახადი</u>

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (*მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა*), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

ახალი, *ე.წ. "ესტონური"*, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (*რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან*) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (*მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის*

მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება). აღნიშნულ ცვლილებას მყისიერი ეფექტი ჰქონდა გადავადებული საგადასახადო აქტივისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულების ნაშთებზე, რომლებიც წინა პერიოდებში აღიარებული დროებითი სხვაობებით იყო გამოწვეული. კომპანია არ აღიარებს გადავადებულ აქტივებს და ვალდებულებებს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შემდგომ.

<u>დღგ</u>

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის" საფუძველზე (*მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით*). შესაბამისად, კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (*აღიარდება)* ე.წ. „წმინდა თანხის" საფუძველზე (*მიღებული დღგ-ს ჩათვლების გათვალისწინებით*).

<u>დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები</u>

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. კომპანიას არ აქვს რაიმე სახის საპენსიო ან მსგავსი პროგრამის (*მათ შორის თანამშრომლის სამსახურის შემდგომი სარგებლის სახით*) იურიდიული თუ არაკონტრაქტული ვალდებულება.

არსებითობის პრინციპიდან გამომდინარე, კომპანიის მიერ არ ხდება გამოუყენებელი შვებულების ანარიცხების აღრიცხვა ფინანსურ ანგარიშგებაში (*არაარსებითობის გამო*).

<u>დივიდენდის განაწილება</u>

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა (*პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე*). საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება ანგარიშგების შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნებში.

<u>ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოცემის შემდეგ</u>

ნებისმიერი ცვლილების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გამოცემის შემდეგ, დამტკიცებას ექვემდებარება კომპანიის იმავე მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით.

3. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს იმას, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მფლობელისა და მენეჯმენტის სტარატეგიაა - კომპანიის ბიზნესის განვითარება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვება საფუძვლიანია.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა

ძირითადი საშუალების ერთეულის და არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება (*განსაზღვრა*) მენეჯმენტის მსჯელობის საგანს წარმოადგენს, შესაბამისი გამოცდილების გათვალისწინების შედეგად. აქტივის გამოყენების ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს აქტივის მოსალოდნელ გამოყენებას, მის ტექნიკურ მახასიათებლებს, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ზემოაღნიშნული პირობების ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება გამოიწვიოს.

გადავადებული და მიმდინარე მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს შეტანილ იქნა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და შეეხო კომპანიის მოგების გადასახადის აღიარებისა და განსაზღვრის პრინციპებს (*კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, სადაზღვევო ორგანიზაციის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და ლომბარდის გარდა*). ეს ცვლილებები შეეხო კომპანიის მიერ გადავადებული მოგების გადასახადის აქტივებს და ვალდებულებებს. კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (*რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან*) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით. დივიდენდების გადახდის შემთხვევაში გამოიყენება 15%-იანი მოგების გადასახადი ე.წ. "დაგროსილი" თანხიდან (*ჯერ უნდა მოხდეს გასაცემი დივიდენდის ნეტო თანხის დაგროსვა 5% საშემოსავლო გადასახადის გათვალისწინებით და შემდეგ 0,85 გაყოფით მიიღება მოგების გადასახდით დასაბეგრი ბაზა*), რომელიც გადახდილ უნდა იქნეს დივიდენდის ფიზიკურ პირზე, ან არარეზიდენტ იურიდიულ პირზე გაცემის მომენტში, იმისდა მიუხედავად, ეს განაცემი ფულადი თუ არაფულადი სახით არის შესრულებული.

კომპანიის მიერ 2017 წლის 01 იანვრიდან მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებისათვის დივიდენდის გაცემა მოგების განაწილებად არ მიიჩნევა.

აღნიშნული საგადასახადო ცვლილებით, რეზიდენტ საწარმოს 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული აკუმულირებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილებისას, უფლება აქვს ჩაითვალოს ამ პერიოდების მიხედვით დარიცხული (*დეკლარირებული*) და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა, მაგრამ არაუმეტეს დივიდენდის განაწილებაზე გათვალისწინებული მოგების გადასახადის თანხისა.

დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, როდესაც ხდება დივიდენდების გაცემა (*მიუხედავად იმისა, თუ რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემა ხდება*). კომპანია აღარ აღიარებს მოგების გადასახადთან დაკავშირებულ გადავადებულ აქტივებს და ვალდებულებებს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შემდგომ.

კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, კომპანიას არ აქვს აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2017 წელს მიღებული მოგებიდან მოგების გადასახადის ვალდებულება.

აღნიშნული საგადასახადო ცვლილების მიხედვით, დივიდენდების განაწილებასთან ერთად, მოგების გადასახადით ასევე იბეგრება (*მოგების განაწილებად ითვლება*) ისეთი ხარჯების გაწევა, რაც ეკონომიკურ საქმიანობასთან არ არის დაკავშირებული (*ხარჯი რომელიც არ განიხილება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულად; მომსახურების ან აქტივების უსასყიდლო მიწოდება; წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობას*). ასევე შეღავათიანი საგადასახადო დაბეგვრის რეჟიმის მქონე ქვეყანაში დარეგისტრირებული პირებისათვის გაცემული ავანსები, ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტებზე გაცემული სესხები ; დაუყოვნებლივ ექვემდებარება დაბეგვრას. თუმცა აღნიშნული სესხის დაბრუნების ან ავანსის სანაცვლოდ საქონლის/მომსახურების მიღების (*ან ავანსის დაბრუნების*) შემდეგ, კომპანიას შესაბამისი დეკლარირების გზით შეუძლია ამ ოპერაციებზე გადახდილი (*დეკლარირებული)* მოგების გადასახადის ჩათვლა. ისეთი გადასახადები, სხვა გადასახადების მსგავსად, რომლებიც უკან დაბრუნებას (*ჩათვლას)* აღარ ექვემდებარება, კომპანიის მიერ აისახება "სხვა საოპერაციო ხარჯებში" და არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს - "მოგების გადასახადი".

4. ძირითადი საშუალებები

'000 ლარი	საოფისე და სხვა ინვენტარი
ღირებულება	
ნაშთი 1 იანვარი 2021	**2**
დამატებები	-
გასვლები	-
გადაჯგუფება	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	**2**
ნაშთი 1 იანვარი 2022	**2**
დამატებები	-
გასვლები	-
გადაჯგუფება	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	**2**
ცვეთა და ამორტიზაცია	
ნაშთი 1 იანვარი 2021	**-**
წლის დარიცხული ცვეთა	0.5
გასვლები	-
გადაჯგუფება	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	**0.5**
ნაშთი 1 იანვარი 2022	**0.5**
წლის დარიცხული ცვეთა	1
გასვლები	-
გადაჯგუფება	
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	**1**
საბალანსო ღირებულება	
1 იანვარი 2021	**2**
31 დეკემბერი 2021	**2**
31 დეკემბერი 2022	**1**

5. საინვესტიციო ქონება

კომპანიის საინვესტიციო ქონებას წარმოადგენს მის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. საინვესტიციო ქონება ასახულია რეალური ღირებულებით.
საინვესტიციო ქონების რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს დამოუკიდებელი, კვალიფიციური შემფასებელი, საბაზრო მიდგომის გამოყენებით, თითოეული ქონების საუკეთესო გამოყენების ანალიზის საფუძველზე, 2021 და 2022 წლების ბოლოს.
შეფასების მიზნებისთვის შემფასებლის მიერ გამოყენებულ იქნა საბაზრო მიდგომა (გაყიდვების შედარების მიხედვით მიდგომა).

'000 ლარი	**საინვესტიციო ქონება (მიწა)**
რეალური ღირებულება	
ნაშთი 1 იანვარი 2021	**2,449**
დამატებები	-
გასვლები	-
შემოსავალი საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	8,901
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	**11,350**
ნაშთი 1 იანვარი 2022	**11,350**
დამატებები	3,325
გასვლები	-
შემოსავალი საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	2,782
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	**17,457**

6. გაცემული სესხები

'000 ლარი	**2022წ. 31 დეკემბერი**	**2021წ. 31 დეკემბერი**	**2021წ. 01 იანვარი**	**სესხის ძირის და პროცენტის დაფარვის თარიღი**
კომპანიებზე გაცემული სესხები, წლიური 12% განაკვეთი	913	913	913	31 დეკემბერი 2025წ
კომპანიებზე გაცემული სესხები, წლიური 12% განაკვეთი	277	277		07 იანვარი 2025წ
კომპანიებზე გაცემული სესხები, წლიური 12% განაკვეთი	1,927	1,927		06 იანვარი 2025წ

კომპანიებზე გაცემული სესხები, წლიური 11% განაკვეთი	1,131	1,131	1,131	06 იანვარი 2025წ
დარიცხული პროცენტები	1,194	696	231	
	5,441	4,943	2,274	

7. მარაგები

'000 ლარი	**2022წ. 31 დეკემბერი**	**2021წ. 31 დეკემბერი**	**2021წ. 01 იანვარი**
მზა პროდუქცია	744	-	-
საქონელი გზაში	9,963	1,826	1,505
სულ მარაგები	10,707	1,826	1,505

მარაგების თვითღირებულება ფასდება შეწონილი საშუალოს მეთოდით და მოიცავს მარაგების შესყიდვის ფასსა და მათ დანიშნულების ადგილზე მიტანისა და გასაყიდ მდგომარეობაში მოყვანის დანახარჯებს.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

'000 ლარი	**2022წ. 31 დეკემბერი**	**2021წ. 31 დეკემბერი**	**2021წ. 01 იანვარი**
სავაჭრო მისაღები თანხები	771	1,305	670
დებიტორული დავალიანების რეზერვი	(13)	(13)	(13)
გაცემული ავანსები	2	1	234
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	760	1,293	891

8. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

'000 ლარი	2022წ. 31 დეკემბერი	2021წ. 31 დეკემბერი	2021წ. 01 იანვარი
მიმდინარე ანგარიშები ბანკში	11	3	203
ნაღდი ფული	-	-	-
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები:	11	3	203

9. საკუთარი კაპიტალი

(ა) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს ნომინალურ კაპიტალს, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 0 ლარს.

(ბ) დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით გასანაწილებელი მოგების ოდენობა შეზღუდულია გაუნაწილებელი მოგების თანხით, რომელიც დაფიქსირებულია კომპანიის ფინანსურ ანგარიშებში, რომლებიც შედგენილია მსს ფასს-ის მიხედვით. 2022 წელს კომპანიის მიერ მოხდა წინა წლებში მიღებული დივიდენდების გამოცხადება და განაწილება 32 ათასი ლარის ოდენობით.

(გ) გაუნაწილებელი მოგება

პერიოდის ბოლოს არსებული გაუნაწილებელი მოგება შეადგენს 25 752 ათას ლარს. მათ შორის 11 683 ათასი ლარი წარმოიშვა 2021 და 2022 წლებში საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან

10. ბანკის სესხები და ოვერდრაფტი

'000 ლარი	2022წ. 31 დეკემბერი	2021წ. 31 დეკემბერი	2021წ. 01 იანვარი
მიმდინარე			
სესხები ბანკიდან	388	597	532
გადასახდელი პროცენტი	6	8	11
სულ მიმდინარე სესხები	394	605	543
გრძელვადიანი			
სესხები ბანკებიდან	555	1,038	1,787
სულ გრძელვადიანი სესხები	555	1,038	1,787

კომპანიის მიერ ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთები შეადგენს: ლარში სესხებზე – წლიური 15%, დოლარში სესხებზე - წლიური 8%, ევროში სესხებზე - წლიური 10.59%.

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

'000 ლარი	2022წ. 31 დეკემბერი	2021წ. 31 დეკემბერი	2021წ. 01 იანვარი
სავაჭრო გადასახდელი თანხები	7,626	385	199
გადასახდელი გადასახადები	50	120	143
სულ სავაჭრო და სხვა გადასახდელი თანხები	7,676	505	342

სავაჭრო ვალდებულების ზრდა გამოიწვია პროდუქციის მომწოდებლის მიმართ დავალიანების ზრდამ (შესაბამისად გაზრდილია „საქონელი გზაში"). დავალიანება დაფარულია შემდგომ პერიოდში.

13. მოგების გადასახადი

კანონმდებლობის ცვლილების შესაბამისად «ესტონურ მოდელზე» გადასვლის შემდეგ, კომპანიას მოგების გადასახადის დარიცხვის და გადახდის ვალდებულება წარმოეშვება არა მოგების მიღების მომენტში, არამედ ამ მოგების განაწილების დროს.

14. გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები

გარანტიის სახით ჩადებული და შეზღუდული აქტივები. კომპანიას ბანკების მიერ გაცემული სესხების უზრუნველსაყოფად, ბანკების სასარგებლოდ დატვირთული აქვს მთელი არსებული უძრავი და მოძრავი ქონება, ასევე მომავალში შეძენილი ყველა და ნებისმიერი მოძრავი ნივთი; მთელი არსებული სასაქონლო მარაგები, ასევე მომავალში შეძენილი ყველა და ნებისმიერი სასაქონლო მარაგი; ყველა არსებული და სამომავლო დებიტირული მოთხოვნის უფლება ყველა და ნებისმიერი პირის მიმართ; ასევე ყველა და ნებისმიერი უფლება გამომდინარე ნებისმიერი ხელშეკრულებიდან; ყველა არსებული და სამომავლო არამატერიალური ქონებრივი სიკეთე.

გარემოს დაცვის საკითხები. საქართველოში გარემოს დაცვის რეგულაციების შესრულება ძალას იკრეფს და სახელმწიფო ორგანოების მიერ გარემოს დაცვის მიდგომები მუდმივად გადაიხედება. კომპანია პერიოდულად აფასებს თავის ვალდებულებებს გარემოს რეგულაციების შესრულების ფარგლებში. ვალდებულების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარებაც. პოტენციური ვალდებულება, რომელიც არსებულ რეგულაციებში ცვლილებებით, სამოქალაქო დავებით ან კანონმდებლობის ცვლილებით არის გამოწვეული, წინასწარ ვერ შეფასდება, თუმცა ასეთი ცვლილებები შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ გარემოში, არსებული კანონმდებლობის პირობებში, მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი ვალდებულებები გარემოს დაზიანების თვალსაზრისით.

15. ოპერაციები და ნაშთები ურთიერთდამოკიდებულ მხარეებთან

ძირითადი მენეჯმენტის ანაზღაურება.

ძირითადი მენეჯმენტი გულისხმობს კომპანიის დირექტორს. მისთვის გაცემული ანაზღაურება, აღნიშნულ თანამდებობაზე სრული დატვირთვით მუშაობის პირობებში, მოიცავს სახელშეკრულებო ხელფასს, კომპანიის ფინანსურ შედეგებზე დამოკიდებულ პრემიებს და სხვა ხარჯების ანაზღაურებას. მთლიანი ანაზღაურება მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში.

'000 ლარი	**2022**	**2021**
ხელფასი და სარგებელი	23	15
სულ ძირითადი მენეჯმენტის ანაზღაურება	23	15

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

'000 ლარი	2022წ. 31 დეკემბერი	2021წ. 31 დეკემბერი	2021წ. 01 იანვარი
გასაცემი ხელფასი	1	1	1
სულ შეძენილი საქონელი	1	1	1

16. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

კომპანიას არ ჰქონია მაკორექტირებელი ან არამაკორექტირებელი ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც საჭიროებდნენ გაშიფვრას ფინანსურ ანგარიშგებაში.

მმართველობის ანგარიშგება

შპს „ექსპორტ +“ საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ექსპორტ+“(შემდეგში კომპანია) რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. რეგისტრირებულია მისამართზე - მცხეთა, სოფ. აღდგომიანთკარი და მისი მართვისა და საქმიანობის განმახორციელებელი ორგანო მდებარეობს თბილისში. საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით კომპანიის 100% წილის მესაკუთრე და მართვაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს არჩილ მხეიძე.

კომპანიაში ამ ეტაპზე დასაქმებულია სამი თანამშრომელი.

კომპანია ეწევა გარკვეული ტიპის პროდუქტის იმპორტირებას და მის მიწოდებას კონკრეტული მომხმარებლისათვის საქათველოში. კომპანიის მიერ იმპორტირებული საქონელი არის სპეციალური ხარისხისა და მახასიათებლების მქონე შაქარი, რომელიც აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის მოთხოვნებს, რათა ვარგისი იყოს დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად. კომპანიას არ აქვს საწყობი და შაქრის რეალიზაცია ხდება პირდაპირ საბაჟო პუნქტიდან კონტეინერებით.

ორგანიზაციული სტრუქტურა

კომპანიის დირექტორი ერთპიროვნულად ახორციელებს კომპანიის მართვას კომპანიის წესდების საფუძველზე. მხოლოდ მას შეუძლია კომპანიის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება.

ძირითად მენეჯმენტად განიხილება კომპანიის დირექტორი.

ამ ეტაპისათვის კომპანიის სტრუქტურით არ არის განსაზღვრული შიდა აუდიტის განყოფილება, თუმცა საქმიანობის მასშტაბის მნიშვნელოვნად გაზრდის კვალდაკვალ, მენეჯმენტი მზადაა სამომავლოდ განიხილოს აღნიშნული განყოფილების შექმნა.

კომპანიაში მოქმედებს შიდა კონტროლის სისტემის პროცედურები და შესაბამისად ხდება გამოვლენილ ხარვეზებზე რეაგირება.

საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვის უზრუნველსაყოფად, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით შპს „ექსპორტ +“ საჭიროებისამებრ აქტიურად იყენებს გარე კომპანიებისაგან მოწოდებულ კვალიფიციურ მომსახურებას.

ტექნოლოგიური ცვლილებები

ბიზნესის წინსვლის უზრუნველსაყოფად აუცილებლობის შემთხვევაში კომპანია ერთ-ერთ პრიორიტეტად განიხილავს ტექნიკური (*ტექნოლოგიური*) სიახლეების დანერგვას და განვითარებას.

საბაზრო უპირატესობები

კომპანია დიდ ყურადღებას აქცევს ადამიანური რესურსების მართვას და მუდამ ზრუნავს კადრების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. მენეჯმენტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს ღირსეული სამუშაო პირობების უზრუნველყოფა. კომპანია არ განიცდის კადრების დენადობას და კომპანიაში დასაქმებულები გამოირჩევიან მაღალი კვალიფიკაციითა და ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მუშაობის შედეგად დაგროვილი დიდი გამოცდილებით.

გარემოს დაცვითი ღონისძიებები

კომპანია მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს გარემოს დაცვით საკითხებს. მენეჯმენტის მხრიდან იგეგმება მონაწილეობის მიღება გარემოს დაცვის სხვადასხვა ღონისძიებებში.

საქართველოში გარემოს დაცვის რეგულაციების შესრულება ძალას იკრეფს და სახელმწიფო ორგანოების მიერ გარემოს დაცვის მიდგომები მუდმივად გადაიხედება. კომპანია პერიოდულად აფასებს თავის ვალდებულებებს გარემოს რეგულაციების შესრულების ფარგლებში.

დარგის საკანონმდებოლო ცვლილებები

კომპანია, საჭიროების შემთხვევაში, კვალიფიციური იუსიტებისაგან მიიღებს კონსულტაციას იმ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით, რომელიც უშუალოდ ეხება მის ძირითად საქმიანობას, რათა კანონმდებლობის სრული დაცვით განახორციელოს ეკონომიკური საქმიანობა.

კომპანიის განვითარების გეგმები

კომპანია პერიოდულად ატარებს კვლევებს არსებული მომხმარებლების კმაყოფილების დადგენისა და ახალი ბაზრების ათვისების მიზნით. მიღებული კვლევის შედეგების გაანალიზების შემდეგ, მენეჯმენტი მსჯელობს აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრის შესაძლო გზების შესახებ და იღებს გადაწყვეტილებებს ოპტიმალური ვარიანტის

სასარგებლოდ. კომპანია გეგმავს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს (*აქტივობებს*) დამატებითი მომხმარებლების მოძიების მიზნით.

კომპანიამ უკვე განახორციელა მნიშვნელოვანი ინვესტიციები და შეიძინა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები საქართველოში. კომპანია მიზნად ისახავს უახლოეს მომავალში სასოფლო-სამეურნეო მიწებზე მაღალტექნოლოგიური სასათბურე მეურნეობის მოწყობას და ბიზნესის განვითარებას.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

მენეჯმენტი პერიოდულად ახდენს კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების ანალიზს და შესაბამისი მსჯელობის საფუძველზე ღებულობს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით.

	2022 წელი
წმინდა მოგება მარჟა	14%
საერთო მოგების მარჟა	24%
ლიკვიდობის კოეფიციენტი	1,42%

რისკების მენეჯმენტი

რისკის მართვის ფუნქცია კომპანიის შიგნით ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო განაკვეთის რისკის და სხვა ფასთა რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის პირველადი მიზნები არის რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქცია არის შიდა პოლიტიკების და პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა საოპერაციო და იურიდიული რისკები მინიმუმამდე დავიდეს.

საკრედიტო რისკი

კომპანიას საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე აქვს მიღებული და გაცემული სესხები. კომპანიას შესაძლოა დაუდგეს საკრედიტო რისკი, რომელიც არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობით გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. კომპანია ახდენს საკრედიტო პოლიტიკის და პროცედურების განახლებას, რომლითაც მოხდება საკრედიტო რისკების ეფექტურად მართვა. მენეჯმენტი პერიოდულად განიხილავს თითოეულ სესხთან დაკავშირებულ რისკებს და განუსაზღვრელობებს, რის შემდეგაც იღებს გადაწყვეტილებას ფულადი სახსრების ეფექტურად გამოყენებასთან დაკავშირებით. საკრედიტო რისკის საფრთხე წარმოიშობა კომპანიის მიერ პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზების საფუძველზეც და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

სავალუტო რისკი

კომპანია ყველა ძირითად ოპერაციებს *(საქონლის შეძენა, სესხების მიღება-გაცემა და ა.შ)* ახორციელებს უცხოურ ვალუტაში. უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიის საფრთხე რისკის მიმართ უპირველესად უკავშირდება უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ მის სასესხო და საკრედიტო ვალდებულებებს.

საბაზრო რისკი

კომპანია სარეალიზაციოდ განკუთვნილი საქონლის ხარისხის მუდმივი კონტროლის შესაბამისი პროცედურების მკაცრი დაცვით პროცესის ორგანიზებულობის ხარჯზე წარმატებით ახდენს კონკურენტულ ბაზარზე მნიშვნელოვანი ადგილის შენარჩუნებას.

დებიტორული დავალიანების ამოღების რისკი

კომპანია არსებული პროცედურების საფუძველზე ახდენს დებიტორულ დავალიანებაზე კონტროლს და ანალიზს მის დროულ ამოღებასთან დაკავშირებით. აღნიშნული პროცედურებით კომპანიას აქვს შესაძლებლობა ოპერატიულად და ეფექტურად მოახდინოს შესაბამისი რეაგირება (*სათანადო ღონისძიებების განხორციელების ჩათვლით*) დებიტორული დავალიანების რისკის მინიმიზაციის კუთხით.

ძირითადი განუსაზღვრელობები

არსებით განუსაზღვრელობას შესაძლებელია წარმოშობდეს დარგის მარეგულირებელ საკანონმდებლო სივრცეში განხორციელებული და მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ცვლილებები. დარგის საკანონმდებლო სივრცეში განხორციელებული და მოსალოდნელი ცვლილებები მრავალ ასპექტს მოიცავს, რომელთა სამომავლო გავლენის საიმედოდ შეფასება, კომპანიაზე გავლენის კუთხით, მოცემული მომენტისათვის საკმაოდ რთულია. თუმცა კომპანიის მენეჯმენტის მიერ არჩეული მართვის პოლიტიკა, დასახული გეგმებისა და ამოცანების ეტაპობრივი იმპლემენტაცია საშუალებას იძლევა გაუმკლავდეს ზემოაღნიშნულ გამოწვევებს და შესაბამისად გააგრძელოს ბიზნესის განვითარების შეუქცევადი პროცესი.

წინამდებარე ანგარიში გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "ექსპორტ+"-ის სახელით 2023 წლის 29 ოქტომბერს.

……

არჩილ მხეიძე

შპს "ექსპორტ +"-ის დირექტორი

არსებით განუსაზღვრელობას შესაძლებელია წარმოშობდეს დარგის მარეგულირებელ საკანონმდებლო სივრცეში განხორციელებული და მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ცვლილებები. დარგის საკანონმდებლო სივრცეში განხორციელებული და მოსალოდნელი ცვლილებები მრავალ ასპექტს მოიცავს, რომელთა სამომავლო გავლენის საიმედოდ შეფასება, კომპანიაზე გავლენის კუთხით, მოცემული მომენტისათვის საკმაოდ რთულია. თუმცა კომპანიის მენეჯმენტის მიერ არჩეული მართვის პოლიტიკა, დასახული გეგმებისა და ამოცანების ეტაპობრივი იმპლემენტაცია საშუალებას იძლევა გაუმკლავდეს ზემოაღნიშნულ გამოწვევებს და შესაბამისად გააგრძელოს ბიზნესის განვითარების შეუქცევადი პროცესი.

წინამდებარე ანგარიში გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "ექსპორტ ნ+"-ის სახელით 2023 წლის 29 ოქტომბერს.

.....

არჩილ მხეიძე

შპს "ექსპორტ +"-ის დირექტორი